

შპს თომა-7

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის

ფინანსური ანგარიშგება

თბილისი

2022 წელი

ზოგადი ინფორმაცია

საწარმოს სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება - შპს
თომა-7, ს/ნ 200239679 (შემდგომში - საზოგადოება).

საგადასახადო რეგისტრაციის თარიღია - 15.08.2007 წელი;
დღგ-ს გადამხდელია 2007 წლის 21 აგვისტოდან.

საზოგადოების იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი,
მექანიზაციის ქ. №1.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან და მათი წილები საწესდებო
კაპიტალში შეადგენს:

1. იურიდი ქავთარაძე,	ს/ნ 01022010034	- 50%
2. თამაზი უჯმაჯურიძე,	ს/ნ 01019005896	- 50%

საზოგადოება სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალში წილებს არ ფლობს.

საზოგადოების ხელმძღვანელია - იურიდი ქავთარაძე, თანამშრომელთა რაოდენობა
შეადგენს 11 კაცს;

საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს შემდეგი მიმართულებით: საკუთარი ან
იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები.

საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების
თარიღია 2021 წლის 31 დეკემბერი. ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი - არის
2021 წელი.

ზოგადი დებულებები

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების
შესახებ ისეთი უტყუარი და სამართლიანი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სასარგებლო
იქნება დაინტერესებული პირებისთვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. შეფასების
დროს ამ პრინციპებიდან გადახვევის შემთხვევაში, კეთდება განმარტებები ფინანსური
ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების ფორმირება, ასევე ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აქტივებისა
და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება ხდება ანგარიშგების წარდგენის
თარიღისთვის. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს მიმდინარე
შეფასებებისგან. აქედან გამომდინარე, პერიოდულად ხდება ამ შეფასებების განხილვა და
საჭიროებისამებრ განახლება, კორექტირება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებში, როდესაც
ამის შესახებ გახდება ცნობილი.

წარდგენის ვალუტა

საზოგადოება აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ეკონომიკური შინაარსის და საქმიანობის შესაბამისად, ქართული ვალუტა აღიარებულია როგორც შეფასების ვალუტა.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისმობს, რომ საზოგადოება განაგრძობს უწყვეტად ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში.

ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებულია, ასე რომ მოიქცეს. მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს აქვთ სურვილი განაგრძონ და გააფაროვნონ საზოგადოების მუშაობა.

ქვემოთ არის წარმოდგენილი საზოგადოების 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების საშედეგო ცხრილები და წინასაანგარიშგებო 2019-2020 წლების შესადარისი მაჩვენებლები.

კერძოდ:

- საქმიანობის შედეგების ცხრილი;
- ფინანსური მდგომარეობის ცხრილი;
- კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ცხრილი;

შპს თომა-7 2021 წლის		
საქმიანობის შედეგები (მე-3 კატეგორია) ლარი		
	საანგარიშგებო პერიოდი 2021წ	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2020წ
ნეტო ამონაგები	934,430	648,638
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	934,430	648,638
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
გაყიდვების თვითღირებულება		
საერთო მოგება	934,430	648,638
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(313,448)	(282,391)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(10,292)	10,292
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი		(803)
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(488,296)	(265,167)
სულ საოპერაციო ხარჯები	(812,036)	(558,653)
საოპერაციო მოგება	122,395	89,985
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	122,394	89,985
მოგების გადასახადის ხარჯი	(25,753)	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	96,641	89,985
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები).		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	96,641	89,985
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,847,160	1757175
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	145,934	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,797,867	1,847,160

შპს თომა-7 2021 წლის			
ფინანსური მდგომარეობა (მე-3 კატეგორია)		ლარი	
	საანგარი- შგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2021წ	წინა საანგარი- შგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2020წ	წინა საანგარი- შგებო პერიოდის საწყისი თარიღი 2019წ
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	86,073	104,342	49,567
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	37,909	23,683	40,310
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	90,000		
მარაგები			
- მზა პროდუქცია			
- სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	77,812	77,412	73,585
ძირითადი საშუალებები	1,692,691	1,703,005	1,713,275
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	1,894,485	1,908,442	1,876,737
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	70,001	39,428	38,472
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			

საგადასახადო ვალდებულებები	22,083	7,320	7,107
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			23449
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	94,534	14,534	50,534
სულ ვალდებულებები	186,618	61,282	119,562
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1,847,160	1,757,175	1,690,116
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(49,293)	89,985	67,059
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	1,797,867	1,847,160	1,757,175
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,984,485	1,908,442	1,876,737
-			
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,797,867	1,847,160	1,757,175
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	186,618	61,282	119,562

შ.პ.ს. თომა-7

ფულადი სახსრების მოძრაობა (საანგარიშგებო პერიოდი-2021 წელი) ლარი

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის (2020 წელი) ბოლო თარიღი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	934430	648638
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	952699	593863
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-18269	54775
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-18269	54775
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	104342	49567
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	86073	104342

განმარტებითი შენიშვნები

1. სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველი

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია ბასს-ის ძირითადი დაშვებები - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

საზოგადოების ხელმძღვანელობას აქვს შემუშავებული და იყენებს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია სამართლიანად ასახავს საწარმოს საქმიანობის შინაარსს, ეკონომიკურ მოვლენებს და ობიექტურია.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროს გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის პირველადი შეფასების საფუძველი. ცვლილებები საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასებებში არ მომხდარა.

აქტივები

საზოგადოება აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად აქტივებს – რესურსებს, რის საფუძველზეც იღებს და მომავალშიც მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს. მათი მოცულობა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფიქსირდა 1894485 ლარის დონეზე (2020 წელი - 1908442 ლარი).

1. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე. ფულადი სახსრები, როგორც მაღალლიკვიდური ინვესტიციები, საზოგადოების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო 2020 წელი, კოვიდ 19-ის გამო, ხასიათდება ცვლილების არსებითი რისკით. მიუხედავად ამისა, საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე აღნიშნულს არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

საზოგადოებაში ფულადი სახსრების აკუმულირების წყაროა საკუთარი უძრავი ქონების გაქირავებიდან ამონაგები, რომლის მოცულობა 2021 წელს შეადგენს 934430 ლარს და წინა 2020 წელთან შედარებით (648638 ლარი) გაიზარდა 285792 ლარით.

საანგარიშგებო პერიოდში დამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები საზოგადოების ფულადი სახსრების მოძრაობაში. წინა წელთან შედარებით შემცირდა ფულისა და ფულის ექვივალენტების მოცულობა 18269 ლარით და შეადგინა 86073 ლარი. გაიზარდა დებიტორული დავალიანებები 14226 ლარით და შეადგინა 37909 ლარი.

2. ძირითადი საშუალებები

საზოგადოების ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თავდაპირველი თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აქტივების ხელახალი შეფასება საზოგადოებაში არ განხორციელებულა, მათი ხელახალი შეფასების პრაქტიკული საჭიროება, საანგარიშო პერიოდში არ არსებობდა.

საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი საშუალებების ნარჩენ საბალანსო ღირებულებამ, საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრისთვის, შეადგინა 1692691 ლარი (2020 წელს - 1703005 ლარი), წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა ძირითადი საშუალებების მატება, თუმცა, ცვეთის მოცულობის გათვალისწინებით (10292 ლარი) მათი მთლიანი მოცულობა შემცირდა 10314 ლარით.

3. შემოსავალი

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დაუყოვნებლივ მის მიღებაზე გაწეული ხარჯების პროპორციულად.

4. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის მომენტისათვის.

წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საზოგადოების მიერ გაწეული საოპერაციო ხარჯების მოცულობა და სტრუქტურა. გრძელვადიანი ვალდებულებები საზოგადოებაში არ ფიქსირდება.

5. ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებებში.

6. პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, ვინაიდან მოსალოდნელი არაა ეკონომიკური სარგებლის გასვლა საზოგადოებიდან და შესაძლებელია ვალდებულებების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე არ არის ასახული პირობითი აქტივები. ამ სახის ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის შესაძლებლობა საზოგადოებაში არ ფიქსირდება.

საზოგადოების 2021 წლის ფინანსური ანგარიშის დასასრული

საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების ბუღალტერი

